

**სახაზინო სამსახურის  
ინფორმაცია**  
**საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების,  
გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი  
საღლოს შესახებ**

**სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები**

საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა სულ 7 081 394.7 ათასი ლარი; მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 5 421 474.0 ათასი ლარის მოცულობით, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 146 775.9 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების კლებით მიღებული იქნა 65 900.3 ათასი ლარი, ხოლო ვალდებულების ზრდით – 1 447 244.5 ათასი ლარი.

2010 წლის იანვარ-დეკემბერში მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა (5 421 474.0 ათასი ლარი) შეადგინა საპროგნოზო მოცულობის (5 363 552.6 ათასი ლარი) 101.4%-ი;

მათ შორის:

– გადასახადების საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 4 552 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 4 592 367.6 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 100.9%;

– გრანტების საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 464 552.6 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 471 422.9 ათასი ლარი. მათ შორის:

– ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტი – 153 954.3 ათასი ლარი;

– სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის მხარდაჭერის პროექტი – 4 028.1 ათასი ლარი;

– ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხული „კავკასიის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდის“ გრანტი – 354.5 ათასი ლარი;

– ინვესტიციური პროექტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული გრანტები 306 680.5 ათასი ლარი;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების გრანტები სულ 6 405.3 ათასი ლარი, რომლის ექვივალენტი უცხოური ვალუტა, ხაზინის სავალუტო ანგარიშზე დონორების მიერ პროექტების დასაფინანსებლად ჩარიცხული თანხიდან, დაკონვერტირდა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში; მათ შორის: “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ადამიანთა ჯანმრთელობა და საზოგადოების გათვითცნობიერება და ინფორმირება)” – 343.1 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ცხოველთა ჯანმრთელობის კომპონენტი)” – 888.1 ათასი ლარი; “სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი” – 847.4 ათასი ლარი; „განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი I და III კომპონენტი” – 2 594.9 ათასი ლარი, „იძულებით გადაადგილებულ პირთა თემის განვითარების პროექტი” – 306.8 ათასი ლარი;

“ინფრასტრუქტურის ინვესტიციების მოსამზადებელი პროექტი (ხუდონის კომპონენტი)” – 135.3 ათასი ლარი; გადაუღებელი რეაბილიტაციისა და მშენებლობის პროექტი – 1 289.7 ათასი ლარი.

– ხაზინის ერთიან ანგარიშზე გრანტების სახაზინო კოდეზზე ჩარიცხული “სხვა თანხები” 0.2 ათასი ლარი.

„სხვა შემოსავლების” საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 347 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 357 683.4 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 103.1%.

2010 წლის იანვარ-დეკემბერში არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსულობების მოცულობამ (146 775.9 ათასი ლარი) შეადგინა საპროგნოზო მოცულობის (150 000.0 ათასი ლარი) 97.9%.

„ფინანსური აქტივების კლებით” მიღებული შემოსულობების მოცულობამ (65 900.3 ათასი ლარი) შეადგინა საპროგნოზო მოცულობის (62 000.0 ათასი ლარი) 106.3%.

„ვალდებულებების” ზრდით მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა – 1 447 244.5 ათასი ლარი, მათ შორის:

– საშინაო ვალდებულებების ზრდით ფაქტიურად მიღებული იქნა – 171 863.6 ათასი ლარი;

– საგარეო ვალდებულებების ზრდით (საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და სხვა ქვეყნის მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი გრძელვადიანი საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები) მიღებული იქნა – 1 275 380.8 ათასი ლარი. მათ შორის:

– ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები – 791 752.4 ათასი ლარი;

– ინვესტიციური პროექტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული კრედიტები სულ 255 265.9 ათასი ლარი;

– “რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი მეორე (კრედიტი) – 25 641.6 ათასი ლარი, ჩაირიცხა ხაზინის ერთიან ანგარიშზე 2010 წელს დაშვებული ოვერდრაფტის დარჩენილი ნაწილის დასაფარავად.

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების კრედიტები სულ 202 720.9 ათასი ლარი, რომლის ექვივალენტი უცხოური ვალუტა, ხაზინის სავალუტო ანგარიშზე დონორების მიერ პროექტების დასაფინანსებლად ჩარიცხული თანხიდან, დაკონვერტირდა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში; მათ შორის: “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ადამიანთა ჯანმრთელობა და საზოგადოების გათვითცნობიერება და ინფორმირება)” – 167.6 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ცხოველთა ჯანმრთელობის კომპონენტი)” – 461.4 ათასი ლარი; „შიდა სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტი” – 39 579.5 ათასი ლარი; “რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი – 13 638.9 ათასი ლარი; “მუნიციპალური განვითარების პროექტი (აზიის განვითარების ბანკის სესხი) – 11 128.5 ათასი ლარი; „განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი I და III კომპონენტი” – 5 045.9 ათასი ლარი; „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომგზისტრალის მეორე პროექტის კრედიტი – 4 334.3 ათასი ლარი; ს.ს.ი.პ. „ჯანდაცვისა და სოციალური პროექტების განმახორციელებელი ცენტრი „პირველადი ჯანდაცვის განვითარება” – 6 001.7 ათასი ლარი; „მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი – მეორე ფაზა” – 27 050.2 ათასი ლარი;

“სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი” – 7 346.7 ათასი ლარი; „მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი” – 2 549.2 ათასი ლარი; „აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალის მესამე პროექტის კრედიტი – 44 077.4 ათასი ლარი; „აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალის პირველი პროექტის კრედიტი – 7 958.1 ათასი ლარი; „ვაზიანი-გომბორი-თელავის გზის პროექტი” – 24 344.1 ათასი ლარი; ჩოლოქი-სარფის გზის ახალი მიმართულება (ქ. ქობულეთის შემოვლითი გზები) კრედიტი – 37.7 ათასი ლარი; “რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი მეორე – 8 999.7 ათასი ლარი.

ინვესტიციური პროექტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების ანგარიშგებაში ასახვისას ამოითიშა კრედიტების და გრანტების თანხები 194 766.7 ათასი ლარის მოცულობით, რომელთა შესაბამისი ექვივალენტები უცხოურ ვალუტაში ჩაირიცხა ხაზინის სავალუტო ანგარიშზე და პროექტის განმახორციელებელი სსიპ-ს მიერ ხარჯების გაწევის შესაბამისად, მოხდა კონვერტირება და ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხვის გზით მიიმართა ბიუჯეტის შემოსულობებში, მათ შორის:

საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 15 544.3 ათასი ლარი, რომელიც “სამინისტროების და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების აღრიცხვის და ხარჯვის შესახებ” საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის №915 ბრძანების თანახმად, ბიუჯეტის შემოსულობებში და გადასახდელებში აისახა “საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემდეგ: “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ადამიანთა ჯანმრთელობა და საზოგადოების გათვითცნობიერება და ინფორმირება)” გრანტი – 520.2 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ცხოველთა ჯანმრთელობის კომპონენტი)” გრანტი – 731.0 ათასი ლარი; “სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი” გრანტი – 1 712.2 ათასი ლარი; „განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი I და III კომპონენტი” გრანტი – 2 169.8 ათასი ლარი; „იძულებით გადაადგილებულ პირთა თემის განვითარების პროექტი” გრანტი – 116.3 ათასი ლარი; გადაუდებელი რეაბილიტაციისა და მშენებლობის პროექტი – 1 279.4 ათასი ლარი; “რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის” კრედიტი – 15 079.1 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ადამიანთა ჯანმრთელობა და საზოგადოების გათვითცნობიერება და ინფორმირება)” კრედიტი – 374.1 ათასი ლარი; “ფრინველის გრიპის კონტროლისა და ადამიანებში პანდემიისათვის მზადყოფნისა და რეაგირების პროექტი (ცხოველთა ჯანმრთელობის კომპონენტი)” კრედიტი – 352.4 ათასი ლარი; “სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი” კრედიტი – 6 792.9 ათასი ლარი; „განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი I და III კომპონენტი” კრედიტი – 4 438.4 ათასი ლარი; „ვაზიანი-გომბორი-თელავის გზის პროექტი” კრედიტი – 21 583.5 ათასი ლარი; „მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი” კრედიტი – 2 168.3 ათასი ლარი; ს.ს.ი.პ. „ჯანდაცვისა და სოციალური პროექტების განმახორციელებელი ცენტრი „პირველადი ჯანდაცვის განვითარება” კრედიტი – 5 820.4 ათასი ლარი; „შიდა სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტი” კრედიტი – 27 729.5 ათასი ლარი; „აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალის პირველი პროექტის კრედიტი – 7 876.3 ათასი ლარი; „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მეორე პროექტის

კრედიტი – 1 041.3 ათასი ლარი; „აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალის მესამე პროექტის კრედიტი – 21 824.2 ათასი ლარი; „მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი – მეორე ფაზა” კრედიტი – 28 630.4 ათასი ლარი; “მუნიციპალური განვითარების პროექტი (აზიის განვითარების ბანკის სესხი) – 15 667.6 ათასი ლარი; ჩოლოქი-სარფის გზის ახალი მიმართულება (ქ. ქობულეთის შემოვლითი გზები) კრედიტი – 107.0 ათასი ლარი; “რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი მეორე – 10 556.4 ათასი ლარი; „სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროექტი – 2 651.7 ათასი ლარი.

ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 28 დეკემბრის №1318 ბრძანებით დამტკიცებული “სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ” ინსტრუქციის თანახმად, სახაზინო სამსახურში დონორების მიერ საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი დაფინანსებისა და გაწეული საკასო ხარჯების შესახებ დეკემბრის თვეში ინფორმაცია წარმოდგენილი იქნა საინვესტიციო პროექტების განმახორციელებელი სსიპ-ის მიერ 6 პროექტზე. საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი თანხების მოცულობამ შეადგინა 97 139.0 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა 2010 წლის 1 იანვრისათვის რიცხული ნაშთებისა და საანგარიშო პერიოდში ჩარიცხული თანხების ფარგლებში, შეადგინა 74 048.1 ათასი ლარი. 53 პროექტზე პროექტების განმახორციელებელ სსიპ-ებს არ წარმოდგენიათ ინფორმაცია გამოყოფილი თანხებისა და საკასო ხარჯების შესახებ.

“საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემაჯავლი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის შემოსულობათა აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 15 ოქტომბრის №835 ბრძანებულების შესაბამისად, საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების სახით, საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილობითი მომართვების საფუძველზე, 2010 წლის იანვარ-დეკემბერში სახაზინო სამსახურის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე გატარდა და სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც შემოსავლებში, ასევე ხარჯებში ასახული იქნა, წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ მიღებული და ადგილზე გახარჯული თანხები სულ 3 353.7 ათასი ლარი.

წინა წლების გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების დაბრუნებით მიღებული იქნა 15 440.7 ათასი ლარი.

## სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2010 წლის 1 იანვრისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებულმა ნაშთმა შეადგინა 362 644.1 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 354 417.2 ათასი ლარი, ფულადი სახსრები აკრედიტივით ანგარიშსწორებისათვის – 2 177.8 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად – 5 757.7 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო კრედიტებით პროექტების დასაფინანსებლად – 291.4 ათასი ლარი.

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2011 წლის 1 იანვრისათვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 488 128.4 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 478 739.6 ათასი ლარი, ფულადი სახსრები აკრედიტივით ანგარიშსწორებისათვის – 587.5 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად – 8 801.3 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილებამ (დაგროვება) შეადგინა 125 484.3 ათასი ლარი.

2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სხვადასხვა უცხოურ ვალუტაში ხაზინის სავალუტო ანგარიშებზე საბიუჯეტო სახსრების სახით რიცხულმა თანხებმა შესაბამისი ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში შეადგინა 157.9 ათასი ლარი.

## სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო

2010 წლის იანვარ-დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 5 421 474.0 ათასი ლარის მოცულობით, (გეგმა – 5 363 552.6 ათასი ლარი); გადასახდელებმა შეადგინა 5 466 466.9 ათასი ლარი (გეგმა – 5 535 775.7 ათასი ლარი); საოპერაციო სალდო განისაზღვრა (-172 223.1) ათასი ლარის ოდენობით, შესრულებამ შეადგინა (-44 992.9) ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 881 010.6 ათასი ლარით (ფაქტიური შესრულება – 873 489.1 ათასი ლარი). მათ შორის: არაფინანსური აქტივების კლება განისაზღვრა 150 000.0 ათასი ლარით (ფაქტიური შესრულება – 146 775.9 ათასი ლარი); არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 1 031 010.6 ათასი ლარით, (ფაქტიური შესრულება – 1 020 265.0 ათასი ლარი).

სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა (-1 053 233.7) ათასი ლარის ოდენობით, შესრულება (-918 482.0) ათასი ლარით.

## სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

„საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლებისა და ფინანსური აქტივების კლების კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 4 იანვრის №1 ბრძანებით დამტკიცებული განწერით, 2010 წლის გეგმით გასაწევი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 7 085 226.5 ათასი ლარით (მათ შორის საბიუჯეტო სახსრები – 6 253 657.1 ათასი ლარი, კრედიტები და გრანტები – 831 569.4 ათასი ლარი); საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 28 დეკემბრის №1318 ბრძანებით დამტკიცებული “სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ” ინსტრუქციის შესაბამისად ვალდებულებები რეგისტრირებული იყო 7 014 788.2 ათას ლარზე, მოთხოვნამ შეადგინა 6 973 520.8 ათასი ლარი, გადახდამ – 6 972 343.8 ათასი ლარი, (მათ შორის საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 6 171 571.6 ლარი, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 800 772.2 ათასი ლარი), რაც ვალდებულების 99.4%, ხოლო გეგმის 98.4%-ს შეადგენს. საგადახდო მოთხოვნასა და სახსრების გადახდას შორის სხვაობამ (დავალიანება) შეადგინა 1 177.0 ათასი ლარი. საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობამ 2010 წლის იანვარ-დეკემბრის მთლიან ხარჯებში შეადგინა 88.5%, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების მოცულობამ კი მთლიანი ხარჯების 11.5%.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 20 სექტემბრის №738 ბრძანებით დამტკიცებული “საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ფულის გაცემის ყოველთვიური ოპერატიული ფინანსური გეგმის შედგენის, დამტკიცებისა და ფულის გაცემის წესის

დამტკიცების თაობაზე” ინსტრუქციის საფუძველზე, ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, თანხების ხარჯვა საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა მათ მიერ მოსალოდნელ ხარჯებზე წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად შედგენილი და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმების მიხედვით.

“საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, იანვარ-დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში დანართის სახით თან ერთვის, ხოლო გაწეული საკასო ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგია:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: “შრომის ანაზღაურების” მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2010 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 996 382.0 ათასი ლარი. ამ მიზნით რეგისტრირებული იქნა ვალდებულებები (წარმოდგენილია განაცხადი) 994 290.1 ათას ლარზე, მოთხოვნამ შეადგინა 993 485.2 ათასი ლარი, გადახდამ – 993 483.9 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.9%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 99.7%-ს შეადგენს. საგადახლო მოთხოვნასა და სახსრების გადახდას შორის სხვაობა (დავალიანება) შეადგენს 1.3 ათას ლარს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით 2010 წლის გეგმით განსაზღვრული იყო 898 625.8 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 886 766.1 ათასი ლარი, მოთხოვნამ შეადგინა 881 788.7 ათასი ლარი, გადახდამ – 881 586.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.4%-ს და საგეგმო მაჩვენებლის – 98.1%-ს შეადგენს. საგადახლო მოთხოვნასა და სახსრების გადახდას შორის სხვაობამ (დავალიანება) შეადგინა 202.1 ათას ლარს.

„პროცენტის“ დაფარვის მუხლით 2010 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 204 131.1 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 200 663.6 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 200 663.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 100%-ს და გეგმის – 98.3%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 68 142.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (68 142.7 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს;

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 132 520.9 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (132 520.9 ათასი ლარი) 100%-ია.

“სუბსიდიების” მუხლით გასაწევი ხარჯების 2010 წლის გეგმამ შეადგინა 211 566.6 ათასი ლარი, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 200 715.2 ათასი ლარი, მოთხოვნამ შეადგინა 196 316.3 ათასი ლარი, გადახდამ შეადგინა 196 306.9 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 97.8%-ს და გეგმის 92.8%-ს შეადგენს. საგადახლო მოთხოვნასა და სახსრების გადახდას შორის სხვაობამ (დავალიანება) შეადგინა 9.4 ათასი ლარი.

„გრანტების” მუხლით გასაწევი ხარჯების 2010 წლის გეგმამ შეადგინა 1 102 862.9 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 1 099 637.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (1 100 290.8 ათასი ლარი) 99.9%-ს და საგეგმო მაჩვენებლის (1 102 862.9 ათასი ლარი) 99.7%-ია.

ხარჯების აღნიშნული კატეგორიიდან 2010 წლის იანვარ-დეკემბერში სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების ბიუჯეტებს ფინანსური დახმარების სახით გადაერიცხათ 1 089 107.7 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (1 089 750.0 ათასი ლარი) 99.9%-ია.

„სოციალური უზრუნველყოფის” მუხლით 2010 წლის იანვარ-დეკემბერში მოთხოვნამ შეადგინა 1 481 070.2 ათასი ლარი, გადახდამ შეადგინა 1 481 067.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (1 481 659.0 ათასი ლარი) 100%-ს და საგეგმო პარამეტრის (1 483

799.7 ათასი ლარი) 99.8%-ს შეადგენს. საგადახლო მოთხოვნასა და სახსრების გადახდას შორის სხვაობამ (დავალიანება) შეადგინა 2.6 ათას ლარს.

აღნიშნული მუხლიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად 2010 წლის გეგმით განესაზღვრა 1 140 991.6 ათასი ლარი, გადახდამ შეადგინა 1 140 570.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.9%-ია. მათ შორის: სახელმწიფო პენსიების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 843 178.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების – (843 292.9 ათასი ლარი) და გეგმის (843 292.9 ათასი ლარი) 100%-ია. ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობების ხარჯების დასაფინანსებლად წლიური გეგმით განისაზღვრა 68 441.4 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 68 441.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (68 441.4 ათასი ლარი) და ვალდებულების (68 441.4 ათასი ლარი) 100%-ია. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დასაფინანსებლად 2010 წლის გეგმით განსაზღვრული იყო 325 205.8 ათასი ლარი, გადახდამ შეადგინა 323 349.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.4% და ვალდებულების (323 356.7 ათასი ლარი) 99.9%-ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლით 2010 წლის გეგმა განისაზღვრა 638 407.6 ათასი ლარით, ინვარ-დეკემბერში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 617 645.3 ათასი ლარი, მოთხოვნამ შეადგინა 613 723.4 ათასი ლარი, გადახდამ შეადგინა 613 721.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.4%-ს და გეგმის 96.1%-ს შეადგენს. საგადახლო მოთხოვნასა და სახსრების გადახდას შორის სხვაობამ (დავალიანება) შეადგინა 1.8 ათას ლარს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ „სხვა ხარჯების“ მუხლით გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 410 788.0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 412 896.9 ათასი ლარის ვალდებულებები, ხოლო 2010 წლის გეგმამ შეადგინა 413 332.3 ათასი ლარი. გადახდამ შეადგინა ვალდებულების 99.5% და საგეგმო მაჩვენებლის – 99.4%. მათ შორის, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად მიმართული იქნა 343 092.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (343 092.1 ათასი ლარი) და საგეგმო მაჩვენებლის (343 092.7 ათასი ლარი) 100%-ია.

„არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2010 წლის გეგმით განისაზღვრა 1 031 010.6 ათასი ლარის ასიგნებები; საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 1 027 261.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ შეადგინა 1 021 224.8 ათასი ლარი, გადახდამ – 1 020 265.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.3%-ს და გეგმის 99%-ს შეადგენს. საგადახლო მოთხოვნასა და სახსრების გადახდას შორის სხვაობამ (დავალიანება) შეადგინა 959.8 ათას ლარს.

აღნიშნული მუხლიდან რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების დასაფინანსებლად განესაზღვრა 450 968.2 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 466 710.9 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ (464 976.3 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 99.6% და საგეგმო მაჩვენებლის – 103.1%.

„ფინანსური აქტივების ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2010 წლის გეგმით ფინანსური აქტივებით ოპერაციების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 343 389.6 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებული ვალდებულებებმა შეადგინა 334 159.0 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 314 287.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 94.1%-ს და გეგმის – 91.5%-ს შეადგენს.

„ვალდებულებების კლების“ მუხლით 2010 წლის გეგმით განსაზღვრული იყო 175 050.6 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებული ვალდებულებებმა შეადგინა 171 337.1 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 171 324.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 100%-ს და გეგმის – 97.9%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 122 908.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (122 908.6 ათასი ლარი) 100%-ია.

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 48 415.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (48 428.5 ათასი ლარი) 100%-ია.

ორგანიზაციული კოდების მიხედვით დანართის სახით თანდართულია ასევე ინფორმაცია კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების შესახებ. უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი ინვესტიციური პროექტების კუთხით საგეგმო მაჩვენებელს აღემატებოდა: საქართველოს პარლამენტის პროექტი „ ძლიერი პარლამენტი კონსოლიდირებულ დემოკრატიაში (UNDP) (კოდი 01 05 02, მუხლი „სხვა ხარჯები“) – 0.2 ათასი ლარი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს პროექტი „სასამართლო ხელისუფლების მხარდაჭერა (UNDP)“ (კოდი 08 02 01, მუხლი „სხვა ხარჯები“) – 25.8 ათასი ლარი; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პროექტები: „ორმხრივი, რეგიონალური და რეგიონთაშორისი პროექტები, (მათ შორის, წინა წლებში, საქართველო-გერმანიის სამთავრობო შეთანხმებით განსაზღვრული პროექტების მიზნებისათვის და ბიუროს საჭიროებისათვის გადახდილი თანხების ანაზღაურება (კოდი 23 02 01, მუხლი „სხვა ხარჯები“) – 296.8 ათასი ლარი; „ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია – მეორე ფაზა (კოდი 23 02 08 მუხლი „ფინანსური აქტივების ზრდა“) – 1 378.1 ათასი ლარი; „ბათუმის ურბანული ტრანსპორტის პროექტი (კოდი 23 02 10, მუხლი „ფინანსური აქტივების ზრდა“) – 22.1 ათასი ლარი; „ენერგეტიკის რეაბილიტაციის პროექტი (კოდი 23 02 13 02, მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“) – 412.4 ათასი ლარი; საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პროექტები: გზების რეაბილიტაციის პროექტი (კოდი 25 04 02 01 01, მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“) – 22 760.6 ათასი ლარი; „ქუთაისის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია (კოდი 25 05 04 05 მუხლი „ფინანსური აქტივების ზრდა“) – 509.9 ათასი ლარი; “მუნიციპალური მომსახურების განვითარების მეორე პროექტი” (კოდი 25 05 04 13 მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“) – 426.7 ათასი ლარი; “რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტი” (კოდი 25 05 04 15 მუხლი „სუბსიდიები“) – 147.6 ათასი ლარი; ადგილობრივი მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა (კოდი 25 06 02, მუხლი „სუბსიდიები“) – 20.0 ათასი ლარი; შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს პროექტები: “მალარიის ეპიდემიის თავიდან აცილების მიზნით მიღწეული შედეგების კონსოლიდაციის პროგრამა” (კოდი 35 13 01 04, მუხლი „სუბსიდიები“ – 91.0 ათასი ლარი; მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“ – 77.8 ათასი ლარი); “ტუბერკულოზთან ბრძოლის რეგიონალური პროგრამა (kfw)” (კოდი 35 13 03 მუხლი „სუბსიდიები“ – 29.8 ათასი ლარი; “ტუბერკულოზისა და ლეიკემიის კონტროლის პროგრამა (kfw)” (კოდი 35 13 04, მუხლი „სუბსიდიები“) – 8.8 ათასი ლარი; “პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტი (კოდი 35 13 06 მუხლი „სუბსიდიები“ – 1 827.2 ათასი ლარი; მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“ – 605.9 ათასი ლარი); საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს „შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტი (კოდი 36 04 09, მუხლი „ფინანსური აქტივების ზრდა“) – 1 085.9 ათასი ლარი.

ზემოთაღნიშნული პროექტების ანგარიშგებაში ასახვის საფუძველს წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ინფორმაცია გრანტებისა და საერთაშორისო საინვესტიციო კრედიტების ფარგლებში ჩამორიცხული თანხების შესახებ, რომელთა ათვისება ხორციელდება სახაზინო ანგარიშების გაუვლელად.



სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში გაწეული ხარჯმა, მომავალში მისაღები გრანტებისა და კრედიტების ანგარიშზე შეადგინა 2 466.0 ათასი ლარი. მათ შორის:

- „იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაციის პროექტი დასავლეთ საქართველოში“ – 8.2 ათასი ლარი;
  - „რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი – მეორე ფაზა“ – 1 910.7 ათასი ლარი.
  - „გადაუდებელი მშენებლობის და რეაბილიტაციის პროექტი“ – 547.1 ათასი ლარი.
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 15 თებერვლის №92 ბრძანების თანახმად, საქართველოს ბანკში გახსნილ სახაზინო სამსახურის კორპორაციულ საბარათე ანგარიშზე რიცხულმა ნაშთმა 2011 წლის 1 იანვრისათვის შეადგინა 18.8 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ასახულია შესაბამისი სამინისტროების საკასო ხარჯებში.

## სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში

2010 წლის იანვარ-დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა ფუნქციონალურ ჭრილში შეადგინა 6 486 731.8 ათასი ლარი და ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 800 555.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (1 827 224.0 ათასი ლარი) 98.5%-ია. აღნიშნულ ხარჯებში დიდია ხვედრითი წილი აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის და საგარეო ურთიერთობის ხარჯების დაფინანსების – 355 030.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (366 268.1 ათასი ლარი) 96.9% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 19.7%-ია; სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯების დაფინანსების – 200 992.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (204 578.9 ათასი ლარი) 98.2% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 11.2%; საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადების დაფინანსებამ მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის შეადგინა 1 151 275.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (1 161 290.5 ათასი ლარი) 99.1%; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში შეადგინა 37 201.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (37 672.2 ათასი ლარი) 98.7%.

თავდაცვის ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად 2010 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 672 043.1 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 671 217.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.9%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10.3%-ი.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხაზით 2010 წლის გეგმით განსაზღვრული იყო 835 993.9 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 832 703.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.6%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 12.8%; აღნიშნულ ხარჯებში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში შეადგინა 68 048.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (68 875.2 ათასი ლარი) 98.8%-ია; პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 586 325.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (587 558.8 ათასი ლარი) 99.8%; სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსების ხარჯებმა (64 851.6 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (65 361.1 ათასი ლარი) 99.2%; სასჯელაღსრულების დაწესებულებების

დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 113 364.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (114 085.2 ათასი ლარი) 99.4%-ია.

ეკონომიკური საქმიანობის ხაზით 2010 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 794 314.9 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 777 618.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 97.9%. აღნიშნულ ხარჯებში საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა (25 920.1 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (29 946.8 ათასი ლარი) 86.5%; სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსების ხარჯებმა (27 100.2 ათასი ლარი), გეგმის (34 101.2 ათასი ლარი) 79.5% შეადგინა; სათბობისა და ენერგეტიკის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 32 682.7 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 29 733.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 91%-ია; მათ შორის: ნავთობისა და ბუნებრივი აირის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 5 081.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (6 022.9 ათასი ლარი) 84.4%; ელექტროენერგეტიკის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 22 659.8 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 21 147.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 93.3%. ტრანსპორტის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 539 687.8 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა (546 581.7 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 101.3%; ეკონომიკის სხვა დარგების ხარჯების (100 534.6 ათასი ლარი) დაფინანსებამ შეადგინა საგეგმო მაჩვენებლის (108 570.6 ათასი ლარი) 92.6%; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა ეკონომიკის სფეროში შეადგინა 40 493.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (41 948.9 ათასი ლარი) 96.5%-ია.

გარემოს დაცვის ხაზით 2010 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 19 043.4 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 18 028.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 94.7%; გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 3 824.0 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა კი შეადგინა 3 806.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.5%-ია; სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების დასაფინანსებლად გარემოს დაცვის სფეროში განსაზღვრულია 8 698.9 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (8 347.8 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 96%.

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით 2010 წლის გეგმით განსაზღვრული იყო 418 831.1 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 415 024.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.1%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 6.4%-ი; ამბულატორიული მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 44 466.7 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (44 370.3 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 99.8%; საავადმყოფოების მომსახურებისათვის გაწეულმა ხარჯებმა (120 759.8 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (123 735.3 ათასი ლარი) 97.6%; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯები დაფინანსდა – 89 380.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (89 951.9 ათასი ლარი) 99.4%-ია; სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დაფინანსდა 159 141.4 ათასი ლარით, რაც გეგმის (159 304.3 ათასი ლარი) 99.9%-ია.

საქმიანობა კულტურის, დასვენებისა და რელიგიის სფეროში დაფინანსდა 165 718.1 ათასი ლარით, რაც 2010 წლის გეგმიური მაჩვენებლის – 166 623.6 ათასი ლარის 99.5%-ს შეადგენს. დასვენებისა და სპორტის სფეროში მომსახურების ხარჯებმა (32 677.7 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (32 793.5 ათასი ლარი) 99.6%; კულტურის სფეროში მომსახურების ხარჯებმა (48 071.7 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (48 706.0 ათასი ლარი) 98.7%; ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 38 302.1 ათასი ლარი გამოყოფა, საკასო ხარჯმა

(38 301.8 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 100%; რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 32 026.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (32 128.8 ათასი ლარი) 99.7%-ია.

განათლების სფეროს დასაფინანსებლად 2010 წლის გეგმით განსაზღვრული იყო 516 083.1 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 504 139.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 97.7% და სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების 7.7%-ი; აღნიშნულ ხარჯებში დიდია ხვედრითი წილი: ზოგადი განათლების დაფინანსების – 367 276.6 ათასი ლარი, რომელმაც შეადგინა გეგმის (370 707.6 ათასი ლარი) 99.1%; უმაღლესი განათლების დაფინანსების – 64 320.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (67 261.2 ათასი ლარი) 95.6%-ია; სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები განათლების სფეროში დაფინანსდა 25 302.7 ათასი ლარით, რაც გეგმის (27 066.4 ათასი ლარი) 93.5%-ია.

სოციალური დაცვის ხაზით 2010 წლის გეგმით განსაზღვრული იყო 1 290 899.0 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 278 161.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 19.6%-ი. ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 19 667.2 ათასი ლარი, ანუ საგეგმო მაჩვენებლის (20 839.2 ათასი ლარი) 94.4%; ხანდაზმულთა სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 897 742.3 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა შეადგინა 897 619.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის 100%; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 191 762.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (192 661.0 ათასი ლარი) 99.5%-ია; სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას დაფინანსდა 128 807.6 ათასი ლარით, რომელმაც შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის (138 750.7 ათასი ლარი) 92.8%; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობისათვის გაწეულმა ხარჯებმა სოციალური დაცვის სფეროში შეადგინა 31 606.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (32 184.2 ათასი ლარი) 98.2%-ია.

## საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ 187 შემთხვევაში შეადგინა 54 563.1 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 54 314.5 ათასი ლარი.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში აუთვისებელი თანხების მოცულობამ 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა 248.5 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ 131 შემთხვევაში შეადგინა 54 010.9 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 53 236.1 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2011 წლის პირველი იანვრისათვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 774.8 ათასი ლარი.

ორგანიზაციულ ჭრილში თანხების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია თან ერთვის.

## რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ 46 შემთხვევაში შეადგინა 240 824.5 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 238 251.5 ათასი ლარი.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში აუთვისებელი თანხების მოცულობამ 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა 2 573.0 ათასი ლარი.

### წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვა

„საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საანგარიშო პერიოდში წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანებების დასაფარად გამოყოფილი იქნა 14 417.9 ათასი ლარის ასიგნება („გრანტების“ მუხლით – 58.1 ათასი ლარი, „ვალდებულებების კლების“ მუხლით – 14 359.8 ათასი ლარი). აქედან: ცალკეული ღონისძიებების სახით წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარად განისაზღვრა 8 030.1 ათასი ლარის ასიგნება, საკასო ხარჯმა შეადგინა 8 020.7 ათასი ლარი. „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვის და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის გეგმით განისაზღვრა – 5 000.0 ათასი ლარი. აქედან: იუსტიციის სამინისტროს წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარად გამოეყო 33.4 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 33.4 ათასი ლარი), ხოლო „სხვა ხარჯების“ მუხლით სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის გამოეყო 101.8 ათასი ლარი; სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფონდს – 3 558.3 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 3 556.7 ათასი ლარი); ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად „გრანტის“ მუხლით – 58.1 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 58.1 ათასი ლარი), ხოლო აუთვისებელი დარჩა 1 248.4 ლარი. „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საბიუჯეტო ასიგნებებში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე წინა პერიოდის დავალიანების დასაფარავად ორგანიზაციებს გამოეყო 1 489.6 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 1 456.7 ათასი ლარი, აქედან, იუსტიციის სამინისტროს გამოეყო 3.1 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 3.1 ათასი ლარი).

ამასთან, ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული ღონისძიებებისა და გამოყოფილი ასიგნებების მიხედვით საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების მაჩვენებლები შემდეგია: საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადასახდელად მიიმართა 6 920.0 ათასი ლარი (გეგმა – 6 920.0 ათასი ლარი); იუსტიციის სამინისტროს აპარატის დასაფინანსებლად მიიმართა – 36.5 ათასი ლარი (გეგმა – 36.5 ათასი ლარი); საქართველოს ფინანსთა სამინისტროში: ს.ს.ი.პ. – შემოსავლების სამსახურის დასაფინანსებლად მიიმართა – 19.6 ათასი ლარი (გეგმა – 19.6 ათასი ლარი); სამინისტროს ცენტრალური აპარატის დასაფინანსებლად მიიმართა – 35.8 ათასი ლარი (გეგმა – 35.8 ათასი ლარი); სახაზინო სამსახურის დასაფინანსებლად მიიმართა –

13.9 ათასი ლარი (გეგმა – 14.0 ათასი ლარი); ორმხრივი, რეგიონალური და რეგიონთაშორისო პროექტების დასაფინანსებლად – 176.2 ათასი ლარი (გეგმა – 177.0 ათასი ლარი); საქართველოს პარლამენტის დასაფინანსებლად – 1.2 ათასი ლარი (გეგმა – 1.2 ათასი ლარი); განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამების დასაფინანსებლად მიიმართა – 866.9 ათასი ლარი (გეგმა – 870.1 ათასი ლარი); საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოეყო 0.4 ათასი ლარი (გეგმა – 0.4 ათასი ლარი); საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ს.ს.ი.პ. – სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაფინანსებლად მიიმართა 33.3 ათასი ლარი (გეგმა – 33.3 ათასი ლარი); შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის დასაფინანსებლად მიიმართა 43.7 ათასი ლარი (გეგმა – 46.0 ათასი ლარი); გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს დაცვის ინსპექციის დასაფინანსებლად გამოიყო – 11.5 ათასი ლარი (გეგმა – 11.5 ათასი ლარი); შინაგან საქმეთა სამინისტროს ს.ს.ი.პ. შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის დასაფინანსებლად მიიმართა – 15.1 ათასი ლარი (გეგმა – 15.1 ათასი ლარი); შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების დასაფინანსებლად მიიმართა – 29.2 ათასი ლარი (გეგმა – 29.3 ათასი ლარი); სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დასაფინანსებლად მიიმართა – 156.5 ათასი ლარი (გეგმა – 158.1 ათასი ლარი); კონტროლოს პალატის დასაფინანსებლად მიიმართა – 8.0 ათასი ლარი (გეგმა – 8.0 ათასი ლარი); ენერგეტიკის სამინისტროს ინფრასტრუქტურის ინვესტიციების მოსამზადებელი პროექტის (ხულონის კომპონენტი – გრანტები და კრედიტები) დასაფინანსებლად მიიმართა – 49.8 ათასი ლარი (გეგმა – 49.8 ათასი ლარი); ინფრასტრუქტურის ინვესტიციების მოსამზადებელი პროექტის (ხულონის კომპონენტი) დასაფინანსებლად მიიმართა 85.5 ათასი ლარი (გეგმა – 85.5 ათასი ლარი); ს.ს.ი.პ. „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ აპარატის დასაფინანსებლად მიიმართა – 3.1 ათასი ლარი (გეგმა – 3.1 ათასი ლარი).

“წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის” ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო დავალებებით სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან, დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ რეჟიმში იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა – 3 556.7 ათასი ლარი (გეგმა – 3 558.3 ათასი ლარი), რაც გატარდა საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ორგანიზაციულ კოლზე.

2010 წლის იანვარ-დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სახაზინო სამსახურში არსებული ოპერატიული მონაცემების საფუძველზე.